საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება დაცული ტერიტორიების შესახებ, არსებული მდგომარეობის ანალიზი და გეგმის შემუშავება გაუმჯობესებისათვის

ეკატერინე კუსრაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა (ბუნებათსარგებლობის MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

ბუნებათსარგებლობა (MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:ასოცირებული მკვლევარი,ზურაბ ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2017

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ეკატერინე კუსრაშვილი

თარიღი:02.07.2017

სარჩევი

აბრევიატურები და შემოკლებები 4

აბსტრაქტი 5

1.შესავალი 7

1.1.ლიტერატურის მიმოხილვა 8

1.1.3.ვიზიტორები და მათი როლი ეროვნული პარკების 12

განვითარებისთვის 12

1.1.4.ვიზიტორები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 15

1.1.5.ცნობიერების როლი მარკეტინგში 20

2 თავი 24

2.1.საკვლევი თემის მიზანი 24

2.2.კვლევის მეთოდები 25

2.3.საკვლევი ტერიტორია 26

2.4.მიღებული შედეგები 27

2.5.დასკვნები და რეკომენდაციები 55

ბიბლიოგრაფია: 61

დანართი 1. 64

დანართი 2. 65

აბრევიატურები და შემოკლებები

იხ.-იხილეთ

მაგ.-მაგალითად

დაც.დაცული

სხვ.-სხვა

შშმ.-შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

აშშ.-ამერიკის შეერთებული შტატები

მენ.გეგმა.-მენეჯმენტის გეგმა

IUCN- International Union for Conservation of Nature

CBD-Convention on Biological Diversity

WTO-World Turism organization

WWF-World Wide Fund for Nature

TUF-Turism User Fee

IUCN WCPA- World Commission on Protected Areas

IUCN CEC- Commision on Education and Communication

აბსტრაქტი

ჩემი სამაგისტრო თემის,კვლევის მიზანია გავიგო დღეს არსებული სიტუაცია საქართველოში დაცული ტერიტორიების ცნობიერებასთან დაკავშირებით.გავაანალიზო არსებული მდგომარეობა და დავსახო გეგმა მისი გაუმჯობესებისათვის.საკვლევ ქალაქებად ავიღე: თბილისი, თელავი და ლანჩხუთი. თბილისი შევარჩიე როგორც საქართველოს დედაქალაქი და ამავე დროს ყველაზე დიდი ქალაქი მოსახლეობის მიხედვით. ჩემთვის,როგორც სამაგისტრო ნაშრომის ავტორისთვის საინტერესოა თბილისში მცხოვრები ყველა თაობის მოქალაქის ცნობიერების დონის განსაზღვრა საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ. თელავსა და ლანჩხუთში კონკრეტულად არ გვხდება დაცული ტერიტორიები, თუმცა თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობით ეს რეგიონები საკმაოდ ახლოს არიან სხვა დაცულ ტერიტორიებთან.

კითხვარი იყო შერეული ტიპის. მოიცავდა როგორც ღია აგრეთვე დახურული ტიპის კითხვებს. ასეთი სახის კითხვარი ჩემთვის საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა, რადგან გავიგე ის პრობლემები, რომელიც მოსახლეობას აწუხებს დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. მოვისმინე ახალი მოსაზრებები, რომელიც ჩემთვის გასათვალისწინებელია სამაგისტრო ნაშრომის დაწერის დროს.მოსახლეობა მზადაა და დიდი სურვილიც აქვს მოინახულოს საქართველოს ფლორისა და ფაუნის სახეობები,კულტურული მემკვიდრეობა, მდიდარი ბუნება, რომელიც უხვადაა წარმოდგენილი დაცულ ტერიტორიებზე. ამისათვის საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მზაობა, იყოს უფრო მეტად აქტიური, განახორციელოს გარემოსდაცვითი ღონიძიებები და ადგილობრივ მოსახლეობას მისცეს მასში ჩართვის შესაძლებლობა.

გამოკვლევამ აჩვენა ფინანსური პრობლემები, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივი მოსახლეობას დაც.ტერიტორიების მონახულებაში. სამაგისტრო ნაშრომის წერის დროს მიმოვიხილე დღეს არსებულ სიტუაცია ცნობიერებასთან დაკავშირებით. ასევე, ჩატარებული ღონისძიებები და აქტივობები,რომელიც განახორციელა საქართველოს

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ და დაცული ტერიტორიების სააგენტომ.ჩატარებული გამოკითხვის შემდეგ მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, ჩემთვის უფრო მარტივი აღმოჩნდა ჩამომეყალიბებინა რეკომენდაციები,რომელიც დაეხმარება საქართველოს მოსახლეობას, იყოს უფრო მეტად ინფორმირებული და აიმაღლოს საკუთარი ცნობიერების დონე საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ.

ძირითადი საძიებო სიტყვები:მარკეტინგი,ცნობიერების ამაღლება,დაცული ტერიტორიები